გაუხმაურებელი ფაქტები

№ 10 (161) 7 – 13 მარტი, ყოველკვირეული გამოცემა გამოდის სამშაბათობით ფასი 50 თეთრი



საქმე №4642 და სუკ-ის საიდუმლო გრიფი

ვინ მიანოდა დაშიფრული ინფორმაცია პოლიტბიუროს?!

სსრკ დაიშალა, მაგრამ მისი „ლავრეები“ ერილეზრეულად

საქართველო
ვატარა ქვეყანაა
და რაში
გვჭირდება
პრეზიდენტობის
ამდენი
კანდიდატიო,
გურჯაანის
რაიონი სულ

საქართველო პატარა ქვეყანაა. ბაგრამ დიდი ერთი დასახლებული — ასეთი შეფასება მისცა ჩვენს ლაბაზ საშობლოს საბერძნეთის ყოფილმა ელჩმა საქართველოში ტასოს კრიეკუსმა. ამ შეფასების ერთგვარ დასტურად შეიძლება ჩაითვალოს ათენში, სასტუმრო „სტადიონს“ ფეშენებელურ დარბაზში მოწყობილი ბერძნულ-ქართული ასოციაციის ერთი ლაბაზი საღამო, რომელიც გამობარი იყო საქართველოსადმი უსაზღვრო ხიყვარულით.

ეროვნულ საქართველო ძველებურად უყვარს

დღეს საბერძნეთში საკმაოდ ბევრი ქართველი ცხოვრობს. საბჭოთა პროსივრციდან გამოქცეულთ არ გვიჭირს აქ, რამეთუ თითქმის ერთნაირი წეს-ჩვეულებები გვაქვს. ბერძენი ხალხის თანადგომას კი ყველა ნაბიჯზე ვგრძნობთ. ჩვენი ურთიერთობის ერთგვარ ხიდად იქცა ათენის ქართული ინსტიტუტი, რომელსაც შესანიშნავი ქართველი ავთანდილ მიქაბერიძე თავკაცობს. ზემოხსენებული საღამოც სწორედ მისი ძალისხმეკით მოეწყო. ამას კი წინ უსწრებდა ქართული მეცნიერებისა და კულტურის კვირეული, თავისი კონფერენციებითა და ფოტოგამოფენით. ელიტარული მსმენელი მოხიბლა საქართ-

ბით ჩატარდა აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ტურნე მთელს საბერძნეთში. ეს იყო შეხვედრები ქართულ ხელოვნებასა და კულტურასთან, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა. სწორედ რომ დღესასწაულად იქცა ჩვენი თანამემამულის, ცნობილი ვარსკვლავის, ქართული საბალეტო სკოლის სიამაყის იგორ ზელენსკის კონცერტები.

ასოციაციის ძალისხმევით საქართველოში ოთხჯერ გაიგზავნა უზარმაზარი რაოდენობის ჰუმანიტარული დახმარება, რომელთაგან სამი სახელმწიფო ტვირთი იყო, ხოლო ერთი — კერძო დახმარება.

მიუხედავად ნორმალური ყოფითი პირობებისა, სამშობლოს გარეთ ცხოვრება მძიმე და აუტანელია. ასატანს მას სწორედ სულიერად მდიდარი ადამიანები

[illegible] საშემსრულებლო ხელოვნებამ. კვირეულის ეპიცენტრად კი ბერძნულ-ქართული ურთიერთთანამშრომლობის ასოციაციის — „კავკასია"-ს პრეზენტაცია იქცა, რომლის დამფუძნებლები არიან: თეოდორის სტოლტიდისი (პრეზიდენტი), იოვანა (ცნობილი მომღერალი), დიმიტრის თეოფიდუ (ბიზნესმენი), ავთანდილ მიქაბერიძე, კახი კახიშვილი, ოდისეი დიმიტრიადი და სხვები.

ბერძნულ-ქართული ასოციაციის სახელწოდება „კავკასია" ბატონი ავთანდილის შერჩეულია, რამეთუ საქართველო ყოველთვის იყო, არის და იქნება კავკასიის ლიდერი. მიუხედავად იმისა, რომ ასოციაციაც ცოტა ხნის წინ შეიქმნა, მისი წევრების ინიციატივით უკვე გამოიცა ქართველ მხატვართა ნამუშევრების საუკეთესო კატალოგი. ასოციაციის სავიზიტო ბარათად თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს, „მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავთა" სამი ვიდეო კასეტა.

ასოციაციის ხელშეწყობ-ქმნიან.

ამ დღეებში ასოციაციამ მოაწყო შესანიშნავი საღამო, რომელშიც მონაწილეობდა ცნობილი ქართველი მძლეოსანი, ორგზის ოლიმპიური

ჩემპიონი კახი კახიშვილი და საქართველოზე უზადოდ შეყვარებული „თბილისის" უბადლო შემსრულებელი იოვანა. არანაკლები სანახაობა იყო ქართული ვახშამი, რომელსაც უმასპინძლა სასტუმრო „სტადიოს" მფლობელმა დიმიტრი თეოფიდუმ.

ვისურვებდი ბევრი ასეთი საღამოები მოეწყოთ ბერძნულ-ქართული ურთიერთობის კეთილისმსურველთ, რამეთუ ისინი უთუოდ წაადგება ჩვენს სამშობლოს.

ზორანა ზენგელია

სპეციალურად „გაუხმაურებელი ფაქტებისთვის" ათენიდან